სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი #3

ქ. თბილისი **2025 წლის 10 ოქტომბერი**

სხდომას ესწრებოდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

1. ნაზირა კაკულია 2. ნინო ფარესაშვილი 3. ლელა ბახტაძე 4. მარინა მაისურაძე 5. საბა გოგიბერიძე 6. ივა ბახტაძე 7. ლუკა გიორგობიანი 8. გიორგი გოროზია 9. ნიკა სამხარაძე 10. მარიამ ახალკაციშვილი 11. მაკა მურვანიძე 12. მარიამ ვარდოსანიძე 13. ხატია ყველაშვილი 14. ლუკა გერგედავა 15. მაია ივანიძე 16. ირა აქუბარდია 17. ნინო გოგნიაშვილი 18. ბარბარა მახარაძე 19. ანი ქიტიაშვილი 20. ხათუნა მაისაშვილი 21. ნათია სვანიძე 22. რევაზ გაჩეჩილაძე 23. ალექსანდრე გაბაშვილი 24. ლუკა ტაბიძე 25. ლილი მამუკაშვილი 26. ნინი ჯავახიშვილი 27. ვლადიმერ მარგველაშვილი 28. თინა ქიტუაშვილი 29. ია კირვალიძე 30. არჩილ ხომასურიძე 31. დემეტრე აბესაძე 32. კახაბერ ლორია 33. ანასტასია ზაქარიაძე 34. მანანა რუსიეშვილი 35. თეა ქარჩავა 36. ნათია ფიფია 37. გიორგი არქანია 38. ლუკა მამალაშვილი 39. მარიამ მახარობლიძე 40. ქეთევან სტურუა 41. ქეთევან ჭეიშვილი 42. ზურაბ გაიპარაშვილი 43. ნინო პავლიაშვილი 44. ციური სუმბაძე 45. სოფიო ხუციშვილი 46. ლალი ახალბედაშვილი 47. ადა ნემსაძე 48. თეიმურაზ მაჩაიძე 49. თამილა ჩალაძე 50. გიორგი მამარდაშვილი 51. მარინე ხუციშვილი 52. ნოდარ ლომიძე 53. თეა შავაძე 54. ალექსი პაჭკორია (დანართი 1);

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის, თსუს პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის წარმომადგენლის - მარინა გურგენიშვილის ხსოვნას.

იმის გათვალისწინებით, რომ დღის წესრიგის მე-3 და მე-4 საკითხების განხილვა (სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ) უნდა განხორციელდეს თსუს აკადემიური საბჭოს მონაწილეობით, სხდომაზე კი არ არის წარმოდგენილი აკადემიური საბჭოს წევრთა საჭირო რაოდენობა, სენატის სპიკერმა მიმართა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს, ამ მიზეზით დღის წერიგიდან აღნიშნული საკითხების ამოღებისა და შემდეგ გაერთიანებულ სხდომაზე განხილვის წინადადებით და კენჭისყრაზე დასამტკიცებლად დააყენა კორექტირებული დღის წესრიგი შემდეგი სახით:

დღის წესრიგი:

1.სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახლადარჩეული წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა უფლებამოსილების დადასტურება (ცნობა) (მომხსენებელი: გიორგი ოქიტაშვილი);

2. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებისთვის სტატუსის შეწყვეტის შესახებ (მომხსენებელი: გიორგი ოქიტაშვილი);

3. ქ. თბილისში, ქეთევან დედოფლის გამზირზე მდებარე სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი 01.17.13.042.014), გარკვეული პირობებით, სახელმწიფოსთვის გადაცემის შესახებ (მომხსენებელი: ლაშა საღინაძე);

4. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე (ბალანსგარეშე ანგარიშზე) რიცხული ძირითადი აქტივების ჩამოწერისა და შემდგომში მათი განკარგვის (განადგურების და ჯართის სახით რეალიზების) შესახებ (მომხსენებელი: ლაშა საღინაძე);

5. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე (ბალანსგარეშე ანგარიშზე) რიცხული მცირეფასიანი აქტივების ჩამოწერისა და შემდგომში განკარგვის (განადგურების და ჯართის სახით რეალიზების) შესახებ (მომხსენებელი: ლაშა საღინაძე);

6. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ქ. თბილისი, ქუჩა ზანდუკელი N16, საკადასტრო კოდი: 01.15.02.012.012) პირველ სართულზე 2 კვ. მეტრის ფართობზე, ვენდინგისა და ყავის აპარატების განთავსების შესახებ (მომხსენებელი: ლაშა საღინაძე);

7. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-11 (ბიოლოგების) სასწავლო კორპუსში (ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა, საკადასტრო კოდი: 01.14.06.006.133) 18,52 კვ.მ. ფართის იჯარის უფლებით გადაცემის შესახებ, მასში ელექტრონული ბიბლიოთეკის მოწყობის, ასევე დოკუმენტაციის აკინძვის, ლამინირების და ასლების გადაღების, სტუდენტებისა და პროფესორ/მასწავლებლებისათვის დამატებით საჭირო საკანცელარიო ნივთებით უზრუნველყოფის მიზნით (მომხსენებელი: ლაშა საღინაძე).

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად;

1. მომხსენებელმა, წარმომადგნლობითი საბჭოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას გააცნო ინფორმაცია წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ. აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 06 მაისის #28/2025 დადგენილებით გამოცხადდა არჩევნები, წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) შემადგენლობაში ვადამდე უფლებამოსილებაშეწყვეტილი წევრების ნაცვლად ახალი წევრების არჩევის მიზნით და არჩევნების თარიღად განისაზღვრა 2025 წლის 5 ივნისი. სენატის არჩევნების ორგანიზების მიზნით თსუ-ის რექტორის ბრძანების საფუძველზე დამტკიცდა საარჩევნო კომისიის შემადგენლობა. სენატის არჩევნები გამოცხადდა შემდეგ ადგილებზე: ა) თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი: სტუდენტი - 5 წევრი; ბ) თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი: სტუდენტი - 1 წევრი; გ) თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტი: აკადემიური პერსონალი - 2 წევრი; სტუდენტი - 2 წევრი; დ) თსუ-ს მედიცინის ფაკულტეტი: აკადემიური პერსონალი - 3 წევრი; სტუდენტი - 1 წევრი; ე) თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი: აკადემიური პერსონალი - 1 წევრი; სტუდენტი - 1 წევრი; ვ) თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი: სტუდენტი - 2 წევრი; ზ) თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი: სტუდენტი - 3 წევრი. აღნიშნა, რომ არჩევნებმა ჩაიარა მშვიდ გარემოში, ყველანაირი ექსცესისა და გართულების გარეშე. გიორგი ოქიტავილმა სხდომის მონაწილეებს გააცნო წარმომადგენლობითი საბჭოს არჩეული წევრების სია. მისი განმარტებით, წესდების თანახმად, აუცილებელია წარმომადგენლობითმა საბჭომ დაადასტუროს (ცნოს) წევრების უფლებამოსილება. შესაბამისად, სენატის სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა ახლადარჩეული წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა უფლებამოსილების დადასტურების (ცნობის) საკითხი.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:

მომხრე: 54

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: ცნობილ (დადასტურებულ) იქნეს წარმომადგენლობითი საბჭოს შემდეგი წევრების უფლებამოსილება (დანართი 2);

2. წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს უფროსმა, გიორგი ოქიტაშვილმა სხდომის მონაწილეებს გააცნო ინფორმაცია წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა სტატუსის შესახებ. აღნიშნა, რომ პერსონალის მართვის დეპარტამენტიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებულ პროფესორებს ელისაბედ ბჟალავას, ნიკოლოზ ჯავახიშვილს, ინგა სანიკიძეს, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებულ პროფესორს მიხეილ ჩიკვილაძეს და ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებულ

პროფესორს იზაბელა პეტრიაშვილს, ასევე თსუ-ს წარმომადგენლობითი საჭოს წევრებს- ნათელა არჩვაძეს და ილია თავხელიძეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის ვადა ამოეწურათ 2025 წლის 26 სექტემბერს.
შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მათ უნდა შეუწყდეთ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის სტატუსი. იმის გათვალისწინებით, რომ მათ ადგილმონაცვლეები არ ჰყავთ, ჩასატარებელია ახალი არჩევნები.
წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის სტატუსი უწყდება ასევე პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის წარმომადგენელს - მარინა გურგენიშვილს, სამწუხარო მიზეზის - გარდაცვალების გამო.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:

მომხრე: 54

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება:

შეუწყდეთ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის სტატუსი: 1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის წარმომადგენლებს - ელისაბედ ბჟალავას, ნიკოლოზ ჯავახიშვილს და ინგა სანიკიძეს; 2. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის წარმომადგენელს - მიხეილ ჩიკვილაძეს; 3. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის წარმომადგენელს - იზაბელა პეტრიაშვილს; 4. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის წარმომადგენლებს - ნათელა არჩვაძეს და ილია თავხელიძეს და 5. პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის წარმომადგენელს - მარინა გურგენიშვილს (დანართი 3).

3. როგორც თსუს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ლაშა საღინაძემ აღნიშნა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ განხილულ იქნა საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს2025 წლის 5 სექტემბრის წერილით გამოგზავნილი, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 4 სექტემბრის წერილი, რომლითაც მოთხოვნილია ქ. თბილისში, ქეთევან დედოფლის გამზირზე მდებარე უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გადაცემა (საკადასტრო კოდი 01.17.13.042.014) სახელმწიფოსთვის.
აღნიშნა, რომ ამ უძრავი ქონების განკარგვის თაობაზე, წარმომადგენლობითმა საბჭომ იმსჯელა 2024 წლის 18 მარტს (წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი N3) და მოიწონა შესაბამისი კომისიის რეკომენდაცია, ახალი საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის შექმნის მიზნით მითითებული ქონების გასხვისებასთან დაკავშირებით.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ აღნიშნულის თაობაზე ეცნობა საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს. სამინისტრო, თავისი მ.წ. 6 ოქტომბრის წერილით გამოხატავს პოზიციას, რომ სახელმწიფო, ქ. თბილისში, ქეთევან დედოფლის გამზირზე მდებარე უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი 01.17.13.042.014) სახელმწიფოსათვის დათმობის სანაცვლოდ, სამომავლოდ უზრუნველყოფს უნივერსიტეტისათვის სტუდენტთა საერთო საცხოვრებლისა და სასწავლო კორპუსის მშენებლობას.
ამასთან, როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, უნივერსიტეტმა საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროსათვის გაგზავნილი წერილით დააფიქსირა პოზიცია, რომ მნიშვნელოვანია, ახალი ინფრასტრუქტურის შექმნასთან დაკავშირებული დეტალური საკითხები (მიზნობრიობა, მოცულობა, დიზაინი, დაზუსტებული ლოკაცია და ა.შ.) განხილული და გადაწყვეტილი იქნეს ურთიერთშეთანხმებით. ამასთან, როგორც თსუს კანცლერმა აღნიშნა, აღნიშნულ საკითხზე შეიქმნება სპეციალური კომისია/ჯგუფი, სადაც ასევე მათი სურვილის შესაბამისად ჩართული იქნებიან სენატის წარმომადგენლები.
საკითხის ირგვლივ გაიმართა ხანგრძლივი მსჯელობა. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა გიორგი არქანიამ დააფიქსირა უარყოფითი პოზიცია წარმოდგენილ საკითხზე და დაინტერესდა რა გარანტია არსებობს, რომ სახელმწიფოს მხრიდან ეს პირობა შესრულდება?! რატომ უნდა გადასცეს უნივერსიტეტმა მის საკუთრებაში არსებული შენობა სახელმწიფოს, შემდგომში მისი სეუ-სთვის გადაცემის მიზნით, მაშინ როდესაც უნივერსიტეტისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა (საერთო საცხოვრებელი, სასწავლო კორპუსი თუ სხვა) სახელმწიფოს ვალდებულებაა. მისი აზრით, უმჯობესია ჯერ თსუმ მიიღოს თანხმობა და გარანტია სახელმწიფოსგან უნივერსიტეტის პირობების შესრულებაზე და ამის შემდგომ დაისვას საკითხი კენჭისყრაზე. ასევე, გამომსვლელი დაინტერესდა ახალი ადმინისტრაციული კორპუსის მშენებლობის საკითხით.
წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის თეა ქარჩავას განცხადებით, საჭიროა მეტი სიცხადე და დასაბუთებულობა საკითხის ირგვლივ. დაინტერესდა, არსებობს თუ არა რაიმე სხვა ალტერნატიული შემოთავაზება სახელმწიფოს მხრიდან?! მის შეკითხვაზე, არის თუა არა ეს შენობა ის ავარიული კორპუსი, რომლის გარკვეული პირობებით გასხვისებაზე სენატმა მოიწონა ამ მიზნით სპეციალურად შექმნილი კომისიის რეკომენდაცია, კანცლერმა, დადებითი პასუხი გასცა.
წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა ზურაბ გაიპარაშვილმა აღნიშნა, რომ ის წარმოადგენდა იმ კომისიას, რომელმაც ამ შენობის, გარკვეული პირობებით გასხვისების მიზანშეწონილობაზე დადებითი რეკომენდაცია გასცა. გამომსვლელმა გამოთქვა იმედი, რომ სახელმწიფო საიმედო პარტნიორი იქნება. აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია შესაბამისი კომისიის/ ჯგუფის შექმნა, რათა მკაფიოდ განისაზღვროს ყველა აუცილებელი ეტაპი/სტადია, საკითხის სწორად და თანმიმდევრულად გადაწყვეტისთვის. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა ნაზირა კაკულიამ ასევე ხაზი გაუსვა საკითხის განხილვაში მაქსიმალური ჩართულობის აუცილებლობას, მათ შორის იურისტების მონაწილეობით. აღნიშნა, რომ სახელმწიფო მნიშვნელოვანი გარანტორია. დისკუსიაში ასევე მონაწილეობა მიიღეს წარმომადგენლობითი საბჭოს სხვა წევრებმა.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა სხდომის მონაწილეებს განუმარტა, რომ დღეს, სენატის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროსათვის ხელახლა გასაგზავნ

წერილში კიდევ ერთხელ დაფიქსირდება ჩანაწერი - უნივერსიტეტის პოზიცია, რომ მნიშვნელოვანია, ახალი ინფრასტრუქტურის შექმნასთან დაკავშირებული დეტალური საკითხები (მიზნობრიობა, მოცულობა, დიზაინი, დაზუსტებული ლოკაცია და ა.შ.) განხილული და გადაწყვეტილი იქნეს ურთიერთშეთანხმებით. ამასთან, წინადადებით მიმართა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს, გამოთქვან/წარმოადგინონ დამატებითი რეკომენდაციები და მოსაზრებები, რისი ასახვაც დამატებით სურთ სამინისტროსათვის გასაგზავნ წერილში. აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის მიზანია, პოზიცია იყოს მკაფიო, ცხადი და არა ალტერნატივებზე დაფუძნებული. ამასთან კიდევ ერთხელ მოახსენა სხდომის მონაწილეებს, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს წერილში დაფიქსირებულია, რომ სახელმწიფო, ქ. თბილისში, ქეთევან დედოფლის გამზირზე მდებარე უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის დათმობის სანაცვლოდ, სამომავლოდ უზრუნველყოფს უნივერსიტეტისათვის სტუდენტთა საერთო საცხოვრებლისა და სასწავლო კორპუსის მშენებლობას.

რაც შეეხება საკითხს, ახალი ადმინისტრაციული კორპუსის მშენებლობასთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ გამარჯვებულ, დამპროექტებელ კომპანიას შეექმნა პრობლემა შესაბამისი საბჭოს მხრიდან თანხმობის მიღებასთან დაკავშირებით (უძრავი ქონების სტატუსიდან გამომდინარე).

საკითხთანდაკავშირებითგაიმართაკენჭისყრა:

მომხრე: 47

წინააღმდეგი: 7

მიღებული გადაწყვეტილება: გაიცეს თანხმობა ქ. თბილისში, ქეთევან დედოფლის გამზირზე მდებარე სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი 01.17.13.042.014) დადგენილი წესით, სახელმწიფოსთვის გადაცემის შესახებ, სანაცვლოდ, უნივერსიტეტისათვის სტუდენტთა საერთო საცხოვრებლისა და სასწავლო კორპუსის მშენებლობის პირობით, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 18 მარტის #3 სხდომის ოქმით მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინებით. (დანართი 4).

4. როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე (ბალანსგარეშე ანგარიშზე) რიცხული ძირითადი აქტივების ჩამოწერის მიზნით მომზადებული იქნა დოკუმენტაცია შემდეგი

ლოკაციების მიხედვით: პირველი სასწავლო კორპუსი (ადმინისტრატორი, ადმინისტრაცია); მეორე სასწავლო კორპუსი (იურიდიული ფაკულტეტი, ადმინისტრატორი, ადმინისტრაცია); მესამე სასწავლო კორპუსი; მეშვიდე სასწავლო კორპუსი; მეთერთმეტე სასწავლო კორპუსის (ადმინისტრატორი, ზუსტი და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტი); პირველი სასწავლო კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული ავტოფარეხი, საქვაბე, სანტექნიკოსების, ელექტრიკოსების უბანი და სადურგლო; მეოთხე სასწავლო კორპუსი და პირველი სასწავლო კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული გამომცემლობის ობიექტები; არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი; ტაბახმელის სასწავლო-საკონფერენციო ცენტრი; პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი.
ჩამოსაწერი ძირითადი საშუალებების ჯამური უწყისის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული თსუ საკუთრება/სარგებლობაში არსებული ჩამოსაწერი ძირითადი აქტივების რაოდენობა შეადგენს: 874 ერთეულს – საბალანსო ღირებულებით 1172805,13 (ერთი მილიონ ას სამოცდათორმეტი ათას რვაას ხუთი ლარი 13 თეთრი) ლარი, ნარჩენი ღირებულებით - 25315,14 (ოცდახუთი ათას სამას თხუთმეტი ლარი 14 თეთრი) ლარი.
შესაბამისად,

მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე, საჭიროა წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება (თანხმობა) წარმოდგენილი ქონების ჩამოწერის და შემდგომში განკარგვის (განადგურების და ჯართის სახით რეალიზების) თაობაზე.

კენჭისყრამდე თსუს კანცლერმა უპასუხა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის ზურაბ გაიპარაშვილის შეკითხვას და აღნიშნა, რომ ეს პროცესი გრძელდება და ეტაპობრივად მოიცავს თსუს ყველა სასწავლო/სამეცნიერო კორპუსს. ამასთან, ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლის სოფიო ხუციშვილის მხრიდან დასმულ შეკითხვაზე, პროფილურ დეპარტამენტს დაევალა, საკითხის განსახილველად და გადასაწყვეტად, უმოკლეს ვადაში შეხვედრის ორგანიზება ინსტუტიტის წარმომადგენლის ჩართულობით.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:

მომხრე: 54

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება:

გაიცეს თანხმობა, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე (ბალანსგარეშე ანგარიშზე) რიცხული ძირითადი აქტივების, დადგენილი წესით, ჩამოწერასა და შემდგომში მათ განკარგვაზე (დანართი 5);

5.აღინიშნა, რომ წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე ასევე წარმოდგენილია სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე

(ბალანსგარეშე ანგარიშზე) რიცხული მცირეფასიანი აქტივების ჩამოწერის მიზნით მომზადებული დოკუმენტაცია შემდეგი ლოკაციების მიხედვით: პირველი სასწავლო კორპუსი (ადმინისტრატორი, ადმინისტრაცია); მეორე სასწავლო კორპუსი (იურიდიული ფაკულტეტი, ადმინისტრატორი, ადმინისტრაცია); მესამე სასწავლო კორპუსი; მეშვიდე სასწავლო კორპუსი; მეთერთმეტე სასწავლო კორპუსის (ადმინისტრატორი, ზუსტი და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტი); პირველი სასწავლო კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული ავტოფარეხი, საქვაბე, სანტექნიკოსების, ელექტრიკოსების უბანი და სადურგლო; მეოთხე სასწავლო კორპუსი და პირველი სასწავლო კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული გამომცემლობის ობიექტები; არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი; ტაბახმელის სასწავლო-საკონფერენციო ცენტრი; პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი.
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული თსუ-ს საკუთრება/სარგებლობაში არსებული ჩამოსაწერი მცირეფასიანი აქტივების რაოდენობა შეადგენს: 2935 (ორი ათას ცხრაას ოცდათხუთმეტი) ერთეულს - საწყისი საბალანსო ღირებულებით 285078,92 (ორას ოთხმოცდახუთი ათას სამოცდათვრამეტი ლარი და 92 თეთრი) ლარს.

მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე, საჭიროა წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება (თანხმობა) წარმოდგენილი ქონების ჩამოწერის და შემდგომში განკარგვის (განადგურების და ჯართის სახით რეალიზების) თაობაზე.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:

მომხრე: 54

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება:

გაიცეს თანხმობა, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე (ბალანსგარეშე ანგარიშზე) რიცხული მცირეფასიანი აქტივების, დადგენილი წესით, ჩამოწერასა და შემდგომში მათ განკარგვაზე (დანართი 6);

6. მომხსენებელმა აღნიშმა, რომ თსუს ადმინისტრაციას წერილობითი თხოვნით მომართა სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის დირექტორმა, სადაც აღნიშნულია, რომ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლაში მნიშვნელოვნად გაიზარდა სტუდენტთა რაოდენობა, ჯამში 700 მდე სტუდენტი. შესაბამისად, გაზრდილი მოთხოვნის გამო შენობაში საჭიროა განთავსდეს თითო ცალი ყავის და სნექების აპარატები (Vending Machine), პირველ სართულზე, 2 კვ. მეტრის ფართობზე.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:

მომხრე: 54

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება:

გაიცეს თანხმობა, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ქ. თბილისი, ზანდუკელი ქუჩა N16, საკადასტრო კოდი: 01.15.02.012.012) პირველ სართულზე 2 კვ. მეტრის ფართობზე, ვენდინგისა და ყავის აპარატების განთავსებაზე, დადგენილი წესით (დანართი 7);

7. წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე განსახილველად და შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად წარმოდგენილი იქნა საკითხი - თსუს მე-11 (ბიოლოგების) სასწავლო კორპუსში (ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა, საკადასტრო კოდი: 01.14.06.006.133) 18,52 კვ.მ. ფართის იჯარის უფლებით გადაცემის შესახებ, მასში ელექტრონული ბიბლიოთეკის მოწყობის მიზნით, მათ შორის, დოკუმენტაციის აკინძვის, ლამინირების და ასლების გადაღების, სტუდენტებისა და პროფესორ/მასწავლებლებისათვის დამატებით საჭირო საკანცელარიო ნივთებით უზრუნველყოფის მიზნით.
აღინიშნა, რომ საკითხი განხილული იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დროებით სარგებლობაში გაცემისა და საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების გასხვისების საკითხების განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის მიერ და მიღებული იქნა დადებითი გადაწყვეტილება.
წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის ზურაბ გაიპარაშვილის მოსაზრების გაზიარების შედეგად, მიზანშეწონილად ჩაითვალა სენატის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში აუცილებელ პირობად ჩაიდოს მოიჯარის მიერ საავტორო უფლების დაცვის ვალდებულება.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:

მომხრე: 54

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება:

გაიცეს თანხმობა, დადგენილი წესით, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-11 (ბიოლოგების) სასწავლო კორპუსში (ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა, საკადასტრო კოდი: 01.14.06.006.133) 18,52 კვ.მ. ფართის იჯარის უფლებით გადაცემაზე, წარმოდგენილი პირობებითა და ასევე მოიჯარის მიერ საავტორო უფლებების დაცვის ვალდებულების პირობით (დანართი 8).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი ვლადიმერ მარგველაშვილი



წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი გიორგი ოქიტაშვილი



2025 წლის 10 ოქტომბრის სხდომის ოქმი №3,

დანართი 1

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები (2025 წლის 10 ოქტომბერი, #3 სხდომა)

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

აკადემიური პერსონალი

1. ნაზირა კაკულია -

2. ნინო ფარესაშვილი -

3. ლელა ბახტაძე -

4. მარინა მაისურაძე -

სტუდენტები:

1.საბა გოგიბერიძე -

2. ივა ბახტაძე –

3. ლუკა გიორგობიანი –

4. გიორგი გოროზია –

5. ლუკა რუხაძე –

6. ნიკა სამხარაძე -

ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

აკადემიური პერსონალი:

1. ლია მაჭავარიანი-

2. ამირან ბიბილაშვილი-

3. მარიამ ახალკაციშვილი-

4. მაკა მურვანიძე-

სტუდენტები:

1. მარიამ ვარდოსანიძე-

2. ვასილ ბერიძე-

3. ხატია ყველაშვილი -

4. ლუკა გერგედავა -

იურიდიული ფაკულტეტი

აკადემიური პერსონალი:

1.მაია ივანიძე-

2. ირა აჭუბარდია –

3. ნინო გოგნიაშვილი -

სტუდენტები:

1. ბარბარა მახარაძე-

2. ანი ჭიტიაშვილი –

3. ლუკა ჯანჯღავა -

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

აკადემიური პერსონალი:

1. ხათუნა მაისაშვილი-

2. ნათია სვანიძე-

3. რევაზ გაჩეჩილაძე -

სტუდენტები:

1. ალექსანდრე გაბაშვილი-

2. კახა კუჭუხიძე-

3. ლუკა ტაბიძე -

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

აკადემიური პერსონალი:

ვლადიმერ გამსახურდია-

სტუდენტები:

1. ლილი მამუკაშვილი –

2. ნინო ჯავახიშვილი -

მედიცინის ფაკულტეტი

აკადემიური პერსონალი:

1. ვლადიმერ მარგველაშვილი-
2. თინა ქიტუაშვილი-
3. ია კირვალიძე –
4. ლალი შარვაძე –
5. არჩილ ხომასურიძე -

სტუდენტები:

1.ასჰრაფ მაკკი ელკჰალიფა მოჰამედ-

2.დემეტრე აბესაძე -

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

აკადემიური პერსონალი:

1. კახაბერ ლორია-

2. ანასტასია ზაქარიაძე-

3. მანანა რუსიეშვილი-

4. თეა ქარჩავა-

5. ნათია ფიფია -

სტუდენტები:

1. გიორგი არჭანია-

2. ლუკა მამალაშვილი-

3. მარიამ ბაღათურია -

4. მარიამ მახარობლიძე –

5. ქეთევან სტურუა –

6. ქეთევან ჭეიშვილი -

საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა

ზურაბ გაიპარაშვილი-

ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა

ნინო პავლიაშვილი-

ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი

ციური სუმბაძე-

ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი

სოფიო ხუციშვილი-

კავკასიის ალ. თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი

ლალი ახალბედაშვილი-

შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტი

ადა ნემსაძე-

ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტი

თეიმურაზ მაჩაიძე-

ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი

თამილა ჩალაძე-

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის სახელობის ინსტიტუტი

გიორგი მამარდაშვილი-

თინათინ წერეთლის სახელობის სახ. და სამართლის ინსტიტუტი

ედიშერ ფუტკარაძე-

მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტი

მანანა ნიკოლაიშვილი-

პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი

რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიის და ელექტროქიმიის ინსტიტუტი

მარინე ხუციშვილი-

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

ეთერ კაკულია-

არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი

გვანცა გვანცელაძე-

მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტი

ნოდარ ლომიძე- ნ. ლომიძე

ი. ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი

თეა შავაძე- თ. შავაძე

ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი

ალექსი პაჭკორია- ა. პაჭკორია

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2025 წლის 5 ივნისის არჩევნები

ცენტრალური საარჩევნო კომისია

არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი






არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო სიაში ამომრჩეველთა ხელმოწერების მიხედვით	ამომრჩეველი	12:00 სთ		15:00 სთ	
	სტუდენტი	867		2256	
	აკადემიური პერსონალი	57		91	
ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო სიის მიხედვით	სტუდენტი	22	5	4	7
	აკადემიური პერსონალი	X	2	3	9
ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო სიაში ამომრჩეველთა ხელმოწერების მიხედვით	სტუდენტი	3	0	0	8
	აკადემიური პერსონალი	X	1	3	2
მიღებული ბიულეტენების საერთო რაოდენობა	სტუდენტი	11	2	0	0
	აკადემიური პერსონალი	X	3	1	0
ნამდვილი ბიულეტენების რაოდენობა	სტუდენტი	2	7	4	3
	აკადემიური პერსონალი	X	1	2	9
ბათილი ბიულეტენების რაოდენობა	სტუდენტი	X	2	6	1
	აკადემიური პერსონალი	X	X	X	3
გაფუჭებული ბიულეტენების რაოდენობა	სტუდენტი	X	X	X	4
	აკადემიური პერსონალი	X	X	X	1
გამოუყენებელი ბიულეტენების რაოდენობა	სტუდენტი	8	1	8	8
	აკადემიური პერსონალი	X	1	7	7

კანდიდატთა მიერ მიღებულ ხმათა რაოდენობა					
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი					
სტუდენტების წარმომადგენლობის კანდიდატების მიერ მიღებული ხმები					
1.	გერგედავა ლუკა	X	2	8	1
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი					
სტუდენტების წარმომადგენლობის კანდიდატების მიერ მიღებული ხმები					
1.	მახარობლიძე მარიამ	X	1	6	5
2.	სტურუა ქეთევან	X	X	9	3
3.	ჭეიშვილი ქეთევანი	X	2	1	9
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი					
სტუდენტების წარმომადგენლობის კანდიდატების მიერ მიღებული ხმები					
1.	ტაბიძე ლუკა	X	3	2	3
აკადემიური პერსონალის წარმომადგენლობის კანდიდატების მიერ მიღებული ხმები					
1.	გაჩეჩილაძე რევაზ	X	X	3	3
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი					
სტუდენტების წარმომადგენლობის კანდიდატების მიერ მიღებული ხმები					
1.	მამუკაშვილი ლილი	X	X	5	9
2.	ჯავახიშვილი ნინი	X	X	9	8
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი					
სტუდენტების წარმომადგენლობის კანდიდატების მიერ მიღებული ხმები					
1.	ბახტაძე ივა	X	1	5	1
2.	გიორგობიანი ლუკა	X	1	5	5
3.	გოროზია გიორგი	X	2	0	3
4.	რუხაძე ლუკა	X	X	8	7
5.	სამხარაძე ნიკა	X	2	0	6

მედიცინის ფაკულტეტი					
სტუდენტების წარმომადგენლობის კანდიდატების მიერ მიღებული ხმები					
1.	აბესაძე დემეტრე	X	1	5	1
აკადემიური პერსონალის წარმომადგენლობის კანდიდატების მიერ მიღებული ხმები					
1.	კირვალიძე ია	X	X	1	8
2.	შარვაძე ლალი	X	X	1	5
3.	ხომასურიძე არჩილ	X	X	2	5
იურიდიული ფაკულტეტი					
სტუდენტების წარმომადგენლობის კანდიდატების მიერ მიღებული ხმები					
1.	ქიტიაშვილი ანი	X	2	6	9
2.	ჯანჯღავა ლუკა	X	2	8	9
აკადემიური პერსონალის წარმომადგენლობის კანდიდატების მიერ მიღებული ხმები					
1.	აქუბარდია ირა	X	X	2	0
2.	გოგნიაშვილი ნინო	X	X	1	8

განსხვავებული აზრი	ხელმოწერა

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე:		ვალერი არღუთაშვილი
ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:		თემური ცაგარეიშვილი

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანი:		მიხეილ ჭიღლაძე
ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი:		ზურაბ გოგშელიძე
ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი:		აკაკი მიქაბერიძე
ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი:		მერი კაპანაძე
ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი:		პავლიკა ჯაგუნავა
ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი:		გიორგი ოქიტაშვილი
ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი:		მირანდა მიქაძე

ოქმის შევსების თარიღი და სა[illegible]: 6.06.2025; 00:21 სთ

ბ.პ.

N 23845/10 24.09.2025

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს უფროსს
გიორგი ოქიტაშვილს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებულ პროფესორებს ელისაბედ ბჟალავას, ნიკოლოზ ჯავახიშვილს, ინგა სანიკიძეს, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებულ პროფესორს მიხეილ ჩიკვილაძეს და ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებულ პროფესორს იზაბელა პეტრიაშვილს აკადემიურ თანმდებობაზე არჩევის ვადა ეწურებათ 2025 წლის 26 სექტემბერს.

გთხოვთ გაითვალისწინოთ.

პატივისცემით,

გოჩა ჯანელიძე

დეპარტამენტის უფროსი
პერსონალის მართვის დეპარტამენტი

N 23841/10 24.09.2025

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს
უფროსს ბ-ნ გიორგი ოქიტაშვილს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, თსუ-ს წარმომადგენლობითი საჭოს წევრებს ნათელა არჩვაძეს და ილია თავხელიძეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის ვადა ეწურებათ 2025 წლის 26 სექტემბერს.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ.

გოჩა ჯანელიძე

დეპარტამენტის უფროსი
პერსონალის მართვის დეპარტამენტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 25176/10 07.10.2025

სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“
წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს,
ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

გაცნობებთ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ განხილულ იქნა საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს 2025 წლის 5 სექტემბრის #MES 7250001079431 წერილით გამოგზავნილი, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 4 სექტემბრის წერილი, რომლითაც მოთხოვნილია ქ. თბილისში ქეთევან დედოფლის გამზირზე მდებარე უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გადაცემა (საკადასტრო კოდი 01.17.13.042.014) სახელმწიფოსთვის.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ ამ უძრავი ქონების განკარგვის თაობაზე, სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წარმომადგენლობითმა საბჭომ იმსჯელა 2024 წლის 18 მარტს (იხ. წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი N3) და მოიწონა შესაბამისი კომისიის რეკომენდაცია, ახალი საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის შექმნის მიზნით მითითებული ქონების გასხვისებასთან დაკავშირებით.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ აღნიშნულის თაობაზე ეცნობა საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს 06.10.2025წ. N 20680/02-80-03 წერილით.


სამინისტროს მ.წ. 6 ოქტომბრის წერილით გამოხატავს პოზიციას, რომ სახელმწიფო, ქ. თბილისში ქეთევან დედოფლის გამზირზე მდებარე უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი 01.17.13.042.014) სახელმწიფოსათვის დათმობის სანაცვლოდ, სამომავლოდ უზრუნველყოფს უნივერსიტეტისათვის სტუდენტთა საერთო საცხოვრებლისა და სასწავლო კორპუსის მშენებლობას.

უნივერსიტეტის წესდების 47-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, წარმოგიდგენთ შესაბამის დოკუმენტაციას.

გთხოვთ, საკითხი განიხილოთ წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე.

პატივისცემით,

ლაშა საღინაძე



ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

N 20680/02-80-03

06/10/2025

20680-02-80-03-2-
202510061713

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა
და ახალგაზრდობის სამინისტროს

გაცნობებთ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ განხილულ იქნა საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს 2025 წლის 5 სექტემბრის #MES 7250001079431 წერილით გამოგზავნილი, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 4 სექტემბრის წერილი, რომლითაც მოთხოვნილია ქ. თბილისში ქეთევან დედოფლის გამზირზე მდებარე უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გადაცემა (საკადასტრო კოდი 01.17.13.042.014) სახელმწიფოსთვის.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ ამ უძრავი ქონების განკარგვის თაობაზე, სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წარმომადგენლობითმა საბჭომ იმსჯელა 2024 წლის 18 მარტს (იხ. წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი N3) და მოიწონა შესაბამისი კომისიის რეკომენდაცია, ახალი საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის შექმნის მიზნით მითითებული ქონების გასხვისებასთან დაკავშირებით.

ყოველივე ზემოთქმულის და საკითხის მნიშვნელობის გათვალისწინებით, მოგახსენებთ, რომ უნივერსიტეტი არ იქნება წინააღმდეგი ხსენებული საკითხის განხილვა მოხდეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე, იმ შემთხვევაში თუ ქ. თბილისში ქეთევან დედოფლის გამზირზე მდებარე უწივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი 01.17.13.042.014) სანაცვლოდ უნივერსიტეტი მიიღებს ზემოაღნიშნულ ახალ საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურას.

ამასთან მნიშვნელოვანია, რომ ახალი ინფრასტრუქტურის შექმნასთან დაკავშირებული დეტალური საკითხები (მიზნობრიობა, მოცულობა, დიზაინი, დაზუსტებული ლოკაცია და ა.შ.) განხილულ და გადაწყვეტილ იქნეს ურთიერთშეთანხმებით.

დანართი: წარმომადგენლობითი საბჭოს 18.03.2024წ. სხდომის ოქმი.

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 25226/10 08.10.2025

სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს, ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ მ.წ. 7 ოქტომბრის N 25176/10 წერილზე დამატებით წარმოგიდგენთ შესაბამის დოკუმენტებს.

დანართი: 1 ფაილი.

პატივისცემით,

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ/ფაქსი: +(995 32) 222 35 01 Tel/Fax
ელ-ფაქსი: chancellery@tsu.ge; E-mail

განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო

დიმიტრი უზნაძის N52
0102 თბილისი, საქართველო
+995 32 2200 220
pr@mes.gov.ge

05/09/2025

MES 7 25 0001079431

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს

ასლი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში განსახილველად შემოსულ თქვენს N5/46282 04/09/2025წ. კორესპონდენციასთან დაკავშირებით (სამინისტროში რეგისტრაციის N1072205 04/09/2025წ.), რომელიც ეხება შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილის, რადიო სადგურის მიმდებარედ 101221 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების (ს/კ 01.19.25.001.133), სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებულ, ქალაქ თბილისში, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი N55-ში მდებარე უძრავ ქონებაში (ს/კ 01.17.13.042.014) ადგილმონაცვლეობის საკითხს, შემდგომში, 01.19.25.001.133 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე უეფას მე-4 კატეგორიის 70 000 მაყურებელზე გათვლილი სტადიონის მშენებლობის მიზნით, გაცნობებთ, რომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 85-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უძრავი ქონების ან მისი ნაწილის შეძენა, გასხვისება შეიძლება მხოლოდ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს თანხმობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამავე წესს ითვალისწინებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 47-ე მუხლი, რომლის თანახმად სამინისტროს თანხმობით, უნივერსიტეტს შეუძლია განახორციელოს უძრავი ქონების შეძენა, უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება და დატვირთვა, ხოლო მე-5 პუნქტის შესაბამისად უნივერსიტეტის უძრავი ქონების ან მისი ნაწილის შეძენა, გასხვისება ან იჯარით გაცემა შეიძლება მხოლოდ უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს თანხმობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, უმაღლესი განათლების დეპარტამენტის პოზიციის გათვალისწინებით და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს დადებითი

გადაწყვეტილების შემთხვევაში, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო კომპეტენციის ფარგლებში არ არის წინააღმდეგი ზემოაღნიშნული უძრავი ქონების ადგილმონაცვლეობაზე - განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისა და საზოგადოებრივი საჭიროების აუცილებელი პროექტის განხორციელების უზრუნველსაყოფად.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის პირველი მოადგილე
ლევან ღირსიაშვილი

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

49ა ილია ჭავჭავაძის გამზირი
0179 თბილისი, საქართველო
ტელ:1420
info@nasp.gov.ge

04 / სექტემბერი / 2025 წ.

KA021776899288525

№ **5/46282**

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს

ასლი: სსიპ - მუნიციპალური განვითარების ფონდს

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში შემოსულია სსიპ - მუნიციპალური განვითარების ფონდის (შემდგომში - "ფონდი") 04.09.2025 წლის MOI-MDF N 2391-გ წერილი, რომლის თანახმად, „ქ. თბილისში ახალი სტადიონის მშენებლობის მიზნით სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2025 წლის 09 ივნისის N942 განკარგულების (შემდგომში - "განკარგულება") შესაბამისად, სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს დაევალა სახელმწიფო მნიშვნელობის პროექტის, კერძოდ, უეფას მე-4 კატეგორიის 70 000 მაყურებელზე გათვლილი სტადიონის მშენებლობის განხორციელება.

"ფონდის" წერილში აღნიშნულია, რომ "განკარგულებით" გათვალისწინებული მშენებლობის პროექტის ზემოქმედების არეალში ხვდება შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილის, რადიო სადგურის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონება (ს/კ N01.19.25.001.133). აღნიშნულის გათვალისწინებით, სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მოთხოვნილია შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილის, რადიო სადგურის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონების (ს/კ N01.19.25.001.133), სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებულ, ქალაქ თბილისში, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი N55-ში მდებარე უძრავ ქონებაში (ს/კ N01.17.13.042.014) გაცვლა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გიგზავნით კორესპონდენციას, თანდართული დოკუმენტაციით და გთხოვთ, განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისა და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის აუცილებელი პროექტის განხორციელების უზრუნველსაყოფად განიხილოთ საკითხი და დადებითი პოზიციის შემთხვევაში მიიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.17.13.042.014 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე.

დანართი: 3 (სამი) ფაილი

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

ირაკლი შენგელია

სსიპ მუნიციპალური
განვითარების ფონდი

დ. აღმაშენებლის გამზ. N150
0112, თბილისი, საქართველო
+995 32 243 70 01/02/03
mdf@mdf.org.ge

01 სექტემბერი 2025

MOI-MDF N 2342-გ

შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ“(ს.ნ 208215509)-ს

მის: თბილისი, ისნის რაიონი, წინანდლის ქუჩა, №9


გაცნობებთ, რომ სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს, უმაღლესი დონის საფეხბურთო, სარაგბო, საკონცერტო, საკონვენციო და სხვა მასობრივი სახის ღონისძიებების მოსაწყობად, საქართველოს მთავრობის 2025 წლის 09 ივნისის N942 განკარგულებით დაევალა უეფას მე-4 კატეგორიის 70 000 მაყურებელზე გათვლილი სტადიონის მშენებლობის პროექტის განხორციელება და შესაბამისად, პროექტის ზემოქმედების ზოლში მოქცეული კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების გამოსყიდვა.

აღნიშნულ განკარგულებით გათვალისწინებული მშენებლობის არეალში, ასევე ხვდება თქვენს საკუთრებაში არსებული შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ კუთვნილი უძრავი ქონება (ს/კ 01.19.25.001.133) -101221.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი.

გთხოვთ, გვაცნობოთ თქვენი პოზიცია, მითითებული მიწის ნაკვეთის ადგილმონაცვლეობასთან დაკავშირებით.

პატივისცემით,

ბექარ ურუშაძე



აღმასრულებელი დირექტორი

დირექცია



სსიპ მუნიციპალური
განვითარების ფონდი

დ. აღმაშენებლის გამზ. N150
0112, თბილისი, საქართველო
+995 32 243 70 01/02/03
mdf@mdf.org.ge

04 სექტემბერი 2025

MOI-MDF N 2391-გ

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს

გაცნობებთ, რომ ,,ქ. თბილისში ახალი სტადიონის მშენებლობის მიზნით სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2025 წლის 09 ივნისის N942 განკარგულების შესაბამისად, სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს დაევალა სახელმწიფო მნიშვნელობის პროექტის, კერძოდ, უეფას მე-4 კატეგორიის 70 000 მაყურებელზე გათვლილი სტადიონის მშენებლობის განხორციელება. ამავე სამართლებრივი აქტის მე-3 პუნქტის თანახმად, ფონდს დაევალა, ,,განახორციელოს უძრავი ქონების გამოსყიდვა, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.“
აღნიშნული განკარგულებით გათვალისწინებული მშენებლობის პროექტის ზემოქმედების არეალში ხვდება შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ“-ს (ს/ნ 208215509) საკუთრებაში არსებული (100% წილის მესაკუთრე) შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“-ს (ს/ნ 2292754405) კუთვნილი 01.19.25.001.133 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 101221.00 კვ.მ ფართობის მქონე უძრავი ქონება (მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა ნაგებობები).
ზემოხსენებული კერძო სამართლის სუბიექტ(ებ)ი თანახმაა, (იხ. დანართი) მოახდინოს მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ 01.19.25.001.133) ჩანაცვლება. ამასთან, ჩანაცვლების ალტერნატივად განიხილავს/მოიაზრებს ქ. თბილისში, ქეთევან დედოფლის გამზირ №55-ში მდებარე უძრავ ქონებას ს/კ 01.17.13.042.014, უძრავი ქონების ფართი 8385.00 კვ.მ.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, და ხსენებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მე-4 პუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ თხოვნით, უზრუნველყოთ კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება, რათა ხელი არ შეეშალოს განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისა და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის აუცილებელი პროექტის განხორციელებას.


დანართი :

1. 01.09.2025 წლის წერილი №MOI-MDF N 2342-გ;

2. 02.09.2025 წლის წერილი №2939-IBSU-01;

სულ: სამი ფურცელი.

ბექარ ურუშაძე



აღმასრულებელი დირექტორი

დირექცია



შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
International Black Sea University
IBSU

#2939-IBSU-01

02.09.2025

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს

თქვენი 2025 წლის 1 სექტემბრის NMOI-MDF N 2342-გ წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი და მისი 100%-იანი წილის მესაკუთრე შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ“ თანახმაა უეფას მე-4 კატეგორიის 70 000 მაყურებელზე გათვლილი სტადიონის მშენებლობის განხორციელების მიზნით მოახდინოს მის კუთვნილებაში არსებული შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ 01.19.25.001.133 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 101 221.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის ჩანაცვლება სხვა მიწის ნაკვეთით.

აქვე მოგახსენებთ, რომ შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ“ როგორც „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მესაკუთრე ალტერნატიულ მიწის ნაკვეთად მოიაზრებს ქეთევან დედოფლის გამზირ, N55-ში მდებარე 01.17.13.042.014 საკადასტრო კოდით (8385.00 კვ.მ) რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს.

პატივისცემით,

გია კავთელიშვილი

დირექტორი

შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“

რექტორი

შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ“

საკონტაქტო ნომერი: 577 133 373

საკონტაქტო მეილი: giaseu001@yahoo.com

rector@seu.edu.ge

მისამართი: საქართველო, ქ.თბილისი 0144, წინანდლის ქ.9

N 20680/02-80-03

06/10/2025

20680-02-80-03-2-
202510061713

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა
და ახალგაზრდობის სამინისტროს

გაცნობებთ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ განხილულ იქნა საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს 2025 წლის 5 სექტემბრის #MES 7250001079431 წერილით გამოგზავნილი, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 4 სექტემბრის წერილი, რომლითაც მოთხოვნილია ქ. თბილისში ქეთევან დედოფლის გამზირზე მდებარე უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გადაცემა (საკადასტრო კოდი 01.17.13.042.014) სახელმწიფოსთვის.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ ამ უძრავი ქონების განკარგვის თაობაზე, სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წარმომადგენლობითმა საბჭომ იმსჯელა 2024 წლის 18 მარტს (იხ. წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი N3) და მოიწონა შესაბამისი კომისიის რეკომენდაცია, ახალი საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის შექმნის მიზნით მითითებული ქონების გასხვისებასთან დაკავშირებით.

ყოველივე ზემოთქმულის და საკითხის მნიშვნელობის გათვალისწინებით, მოგახსენებთ, რომ უნივერსიტეტი არ იქნება წინააღმდეგი ხსენებული საკითხის განხილვა მოხდეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე, იმ შემთხვევაში თუ ქ. თბილისში ქეთევან დედოფლის გამზირზე მდებარე უწივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი 01.17.13.042.014) სანაცვლოდ უნივერსიტეტი მიიღებს ზემოაღნიშნულ ახალ საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურას.

ამასთან მნიშვნელოვანია, რომ ახალი ინფრასტრუქტურის შექმნასთან დაკავშირებული დეტალური საკითხები (მიზნობრიობა, მოცულობა, დიზაინი, დაზუსტებული ლოკაცია და ა.შ.) განხილულ და გადაწყვეტილ იქნეს ურთიერთშეთანხმებით.

დანართი: წარმომადგენლობითი საბჭოს 18.03.2024წ. სხდომის ოქმი.

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო

დიმიტრი უზნაძის N52
0102 თბილისი, საქართველო
+995 32 2200 220
pr@mes.gov.ge

06/10/2025

MES 1 25 0001291394

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტს

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში განსახილველად შემოსულ თქვენს N20680/02-80-03, 06/10/2025 წ. წერილთან დაკავშირებით (სამინისტროში რეგისტრაციის N1290463, 06/10/2025 წ.), რომელიც ეხება სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებულ, ქალაქ თბილისში, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი N55-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ 01.17.13.042.014) ადგილმონაცვლეობასთან დაკავშირებულ საკითხს, გაცნობებთ, რომ სახელმწიფო, სამომავლოდ უზრუნველყოფს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის სანაცვლოდ სტუდენტთა საერთო საცხოვრებლისა და სასწავლო კორპუსის მშენებლობას.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის მინისტრის პირველი მოადგილე
ლევან ღირსიაშვილი

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი #3

ქ. თბილისი **2024 წლის 18 მარტი**

სხდომას ესწრებოდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

1.ნაზირა კაკულია 2. მიხეილ ჩიკვილაძე 3. ნინო ფარესაშვილი 4. მარინა მაისურაძე 5. ელენე გაჩეჩილაძე 6. ლია მაჭავარიანი 7. ნათელა არჩვაძე 8. ამირან ბიბილაშვილი 9. მარიამ ახალკაციშვილი 10. ვასილ ბერიძე 11. მარინა გარიშვილი 12. მაია ივანიძე 13. თამარ ჯინჭარაძე 14. ხათუნა მაისაშვილი 15. კახა კუჭუხიძე 16. იზაბელა პეტრიაშვილი 17. ვლადიმერ მარგველაშვილი 18. თინა ქიტუაშვილი 19. გიორგი პატარაია 20. კახაბერ ლორია 21. ანასტასია ზაქარიაძე 22. ელისაბედ ბუჯალავა 23. მანანა რუსიეშვილი 24. თეა ქარჩავა 25. ლერი თავაძე 26. ნიკოლოზ ჯავახიშვილი 27. ინგა სანიკიძე 28. გიორგი არქანია 29. გიორგი ლაბაძე 30. ლუკა მამალაშვილი 31. ზურაბ გაიპარაშვილი 32. ნინო პავლიაშვილი 33. ციური სუმბაძე 34. სოფიო ხუციშვილი 35. ლალი ახალბედაშვილი 36. ადა ნემსაძე 37. თამილა ჩალაძე 38. გიორგი მამარდაშვილი 39. მანანა ნიკოლაიშვილი 40. მარინა გურგენიშვილი 41. მარინე ხუციშვილი 42. ნოდარ ლომიძე (დანართი 1)

სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრები:1. ჯაბა სამუშია 2. ნიკოლოზ ავაზაშვილი 3. ნათელა ანანიაშვილი 4. მიხეილ ბახტაძე 5. ცისანა გავაშელი 6. ვასილ გონაშვილი 7. მარინე ზაუტაშვილი 8. მაია კოპალეიშვილი 9. ალექსანდრე კუხიანიძე 10. გია ლობჟანიძე 11. ნინო მინდაძე 12. ავთანდილ სილაგაძე 13. გოჩა ფერაძე 14. ომარ ფურთუხია 15. თამაზ ყარალაშვილი 16. მორის შალიკაშვილი 17. რევაზ შანიძე 18. ნინო შარაშიძე 19. თემურ შენგელია 20. მარინე ჩიტაშვილი 21. მარი წერეთელი 22. ეთერ ხარაიშვილი 23. მანანა ხაჩიძე 24. მამუკა ხუსკივაძე (დანართი 2)

დღის წესრიგი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ (მომხსენებელი: მაია ჩიღვინაძე);

2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დებულების დამტკიცების შესახებ (მომხსენებელი: ნინო პავლიაშვილი);

3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ (მომხსენებელი: იოსებ სოფრომაძე);

4. "სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2024 წლის 22 თებერვლის №29/2024 დადგენილების დამტკიცების შესახებ (მომხსენებელი: არჩილ კუკულავა);

5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2023 წლის ანგარიშის მოსმენის შესახებ (მომხსენებელი: მზექალა აჭაიძე);

6. წარმომადგენლობითის საბჭოს წევრის, აკადემიური პერსონალის - ლერი თავაძისა და სენატის წევრ სტუდენტთა მიერ წარმოდგენილი ინიციატივის, აკადემიური საბჭოს მონაწილეობით ხელახალი განხილვისა და მიზანშეწონილებიდან გამომდინარე, შესაბამისი კომისიის შექმნის შესახებ (მომხსენებელი: ვლადიმერ მარგველაშვილი).

7. "სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებ"-ში ცვლილების შეტანის შესახებ (მომხსენებელი: ლაშა საღინაძე)

8. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგასთან დაკავშირებით დასკვნის (რეკომენდაციის) მომზადების მიზნით თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2024 წლის 11 იანვრის #2/02-01 ბრძანების საფუძველზე შექმნილი კომისიის მუშაობის შედეგების შესახებ (მომხსენებელი: კომისიის/სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე - ზურაბ გაიპარაშვილი).

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად;

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს სიტყვით მიმართა უნივერსიტეტის რექტორმა, ჯაბა სამუშიამ და კიდევ ერთხელ მიმოიხილა დაგეგმილი, განხორციელებული და მომავალში განსახორციელებელი მნიშვნელოვანი პროექტები. ხაზი გაუსვა, სტუდენტური პროექტებისათვის ბიუჯეტის ზრდის საკითხს. აღნიშნა, რომ მომავალში ეს თანხა კიდევ

